მოქალაქეთა აქტივობა – ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი

გიორგი ქოჩიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: r.kutateladze@gtu.ge

რეზიუმე

მოქალაქეთა აქტივობა უმნიშვნელოვანესი ბარომეტრია ქვეყანაში განვითარებული დემოკრატიული პროცესების შეფასებისთვის. ქვეყნის ხელისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილება ხალხის, საზოგადოების საჭიროებით უნდა იქნეს ნაკარნახევი, შესაბამისად მოქალაქეების მხრიდან ის მხარდაჭერასა და რეალიზაციაში აქტიურ მონაწილეობას განაპირობებს. სტატიაში განხილულია საქართველოში მიმდინარე პროცესები ქვეყნის დემოკრატიული მონაპოვრების განმტკიცებისა და სამოქალაქო აქტივობის გაზრდის თვალსაზრისით; კრიტიკულადაა შეფასებული ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ამ მიმართულებით. ხაზგასმულია, რომ მიღწევები, რომელიც უკანასკნელ პერიოდში არსებობს არ იძლევა მოდუნებისა და თვითკმაყოფილების საშუალებას. აუცილებელი მუდმივი აქტივობა და მცდელობა მიღწეულის განმტკიცებისა და არსებული პრობლემების დაძლევისთვის.

მოქალაქეთა ჩართულობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ადამიანები ყველაფერ იმაში, რისი გადაწყვეტაც ხელისუფლებას უწევს, მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ამ ხელისუფლების სიძლიერე და სიმყარე. ბუნებრივია, ყველა პრობლემა და სატკივარი, რომელიც საზოგადოებაშია, ერთი ხელის მოსმით ვერც გადაწყდება და ვერც აღმოიფხვრება, მაგრამ საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს ინფორმირებული მიმდინარე საქმიანობაზე, თითოეული ადამიანი თავის თავზე უნდა გრძნობდეს გატარებული ღონისძიებების შედეგებს. თუ საქართველოს სინამდვილეს ავიღებთ, ჩვენი სახელმწიფოს უდიდესი გამოწვევაა სიღარიბის დაძლევა, ამაზე ხაზგასმით არა ერთხელ მიუთითა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თავის გამოსვლებში, თუმცა ეს პრობლემა არც ახალია და არც იოლად მოსაგვარებელი. ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა აღმავლობას განიცდის თითქოსდა ეს პრობლემაც ეკონომიკის განვითარების კვალობაზე უნდა წყდებოდეს. სამწუხაროდ, აქ თანხვედრა არ არის, აქ მიზეზების ანალიზს არ შევუდგებით, რამდენადაც ეს საკითხები უფრო ეკონომიკის მეცნიერების სფეროდანაა და პასუხსაც მეცნიერ-ეკონომისტები და პრაქტიკოსები გასცემენ, თუმცა ჩვენ პრობლემას ჩვენი, მმართველობითი კუთხით გვინდა შევხედოთ, რამდენადაც ქვეყნის სტაბილურობისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამწუხაროა, მაგრამ, „პოტენციური რევოლუციური სიტუაცია არსებობს ყველა ქვეყანაში, სადაც მთავრობა დიდხანს ვერ ახერხებს თავისი ვალდებულებების შესრულებას-თუნდაც, ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველყოფას ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის. თუ გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობს ისეთი რევოლუციური პარტიაც, რომელსაც სათანადო დოქტრინის ჩამოყალიბება და ხალხის ორგანიზება შეუძლია, მაშინ რევოლუციას ერთადერთი ინგრედიენტი აკლია – ეს არის ძალადობრივი რევოლუციური მოქმედების ინსტრუმენტი“, აღნიშნულია მაო ძედუნის ნაშრომში „პარტიზანული ბრძოლა“.

საბედნიეროდ, ჩვენში საქმე ამდენად რთულად არ დგას, თუმცა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიამ აჩვენა, რომ მოსახლეობაში უარყოფითი განწყობების მოჭარბებაა, შესაბამისად ადგილი აქვს ნიჰილიზმსა და გულგრილობას. მმართველ კოალიციას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ არჩევნების მეორე ტურისთვის საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გამოეჩინა არჩევნებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება და მისულიყო საარჩევნო უბნებში თავისი არჩევანის გასაკეთებლად.

მიუხედავად ოპოზიციური ძალების დესტრუქციული მცდელობისა, არჩევნები ძირითადად ჩატარდა მშვიდ გარემოში და მოქალაქეებმა

აჩვენეს სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის ნიმუში. ასეთი შედეგი ძირითადად მიღწეულ იქნა საზოგადოებრივი აზრის სწორი მიმართულებით ფორმირებისა და ადამიანებთან მუშაობის შედეგად.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გათვალისწინებაზე იბრძოდა ნებისმიერი ხელისუფალი, დემოკრატიული იქნებოდა ის თუ არა, რამდენადაც ესმოდა, რომ საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ სვლა მოდიდებული მდინარის წინააღმდეგ სვლის ტოლფასია და მისი შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია.

რაც შეეხება დემოკრატიული განვითარების პროცესის ეფექტურ განხორციელებას, ის ერთმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯანსაღი, პოლიტიკურად მიუკერძოებელი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და გათვალისწინებაზე, ასევე, საზოგადოების ჩართულობაზე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში.

საზოგადოებრივი აზრი-არის მასობრივი ცნობიერების ფორმა, რომელშიც ვლინდება სხვადასხვა ჯგუფებისა და ადამიანების ფარული ან აშკარა დამოკიდებულებები გარკვეული მოვლენებისა და იმ პროცესების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. ეს არის ქვეყნის მოსახლეობის, დიდი სოციალ-დემოგრაფიული ჯგუფების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი, გამოხატული დისკურსებში, დისკუსიებში, შეფასებებში, ემოციებში, განწყობებსა და სხვ. იგი ხასიათდება გარკვეული იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მიმართულებით, აქტივობით, მდგრადობით. ამავდროულად ის გამოდის ექსპრესიული, მაკონტროლებელი და დირექტიული ფუნქციებით - იკავებს გარკვეულ პოზიციას, იძლევა რჩევას, გამოაქვს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საზოგადოებრივ საკითხებზე, არეგულირებს ინდივიდების, ერთობების, სოციალური დაწესებულებების მოქმედებას, მხარს უჭერს ან უკუაგდებს ამა თუ იმ წარმოდგენებს, ღირებულებებს, ნორმებს. საზოგადოებრივი აზრის მხედველობის არეში, ჩვეულებრივ, ხვდება სინამდვილის მხოლოდ ის მოვლენები და ფაქტები, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს იწვევენ. საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად, თუმცა, თანამედროვე საზოგადოებების პირობებში იგი განიცდის განსაზღვრულ ზეგავლენას მრავალრიცხოვანი სოციალური ინსტიტუტების მხრიდან. ამიტომ, სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციებში იგი რეალობასთან ადეკვატურობის სხვადასხვა ხარისხს ავლენს. ის შეიძლება შეიცავდეს როგორც მართებულ, რეალისტურ, ისე მცდარ, ილუზორულ წარმოდგენებს სინამდვილეზე.

საზოგადოებრივი აზრი არის სხვადასხვა ფაქტის, პროცესის, მოვლენისა თუ პრობლემის შესახებ ადამიანთა ჯგუფის განსჯა, მათი დამოკიდებულება და შეფასება. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და განვითარება ან მიზანმიმართულად, მასობრივი შეგნება ზეპოლიტიკური ინსტიტუტებისა და სოციალური ორგანიზაციების ზემოქმედებით ხდება, ანდა სტიქიურად – ცხოვრებისეულ გარემოებათა, კონკრეტული გამოცდილებისა და ტრადიციების უშუალო გავლენის შედეგად.

კონკრეტულად საქართველოში დამოუკიდებლობის წლებში სულ უფრო მეტად იზრდება საზოგადოების წევრების ჩართულობა პოლიტიკის სფეროში. გარკვეულწილად ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარები პრობლემების განხილვას აწარმოებენ სწორედ ისეთი ფენომენის ჭრილში, როგორიცაა "საზოგადოებრივი აზრი".

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „საზოგადოებრივი აზრი" სულ რამდენიმე ასწლეულის წინ დამკვიდრდა, მისი, როგორც ფენომენის არსებობა აშკარაა ყველა ისტორიულ ეპოქაში. უძველესი კედლის ნახატები, შამანის რიტუალური როკვა, მსხვერპლშეწირვის რიტუალი, ბელადის მიერ წარმოთქმული სიტყვა ტომის წინაშე, აკლდამები, პირამიდები და ა.შ. სოციალური კომუნიკაციის გარკვეულ ფორმებს წარმოადგენენ.

1925 წელს ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი მარგარეტ მიდი, რომელიც აწარმოებდა კვლევებს პოლინეზიასა და სამოაზე ადგილობრივ საზოგადოებაში სოციალიზაციის პროცესის შესასწავლად, აღნიშნავდა, რომ: „საზოგადოებრივი აზრი ეფექტურია, თუ ვინმე მოქმედებს, როგორც მცნების დამრღვევი, ასევე, კონფლიქტის, ან სამომავლო ქმედებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს".

საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საუკეთესო მაგალითია მსოფლიოს ძირითადი რელიგიური მიმართულებების წმინდა წიგნები „წმინდა წიგნები ამა თუ იმ ფორმით შეიცავენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ელემენტებს. სწორედ ამ გზით ახდენდნენ უძველესი გადამწერები რელიგიური შეხედულებების გავრცელებას და ცდილობდნენ ფართო მასებისთვის ხმა მიეწვდინათ საკუთარი რწმენის, მისი მნიშვნელობის შესახებ. კომუნიკაციის ეს ტიპი კიდევ უფრო ძველია, ვიდრე პირველი ბერძნული ან რომაული სარეკლამო განცხადებები, რომლებმაც ფრაგმენტულად (ნაწყვეტების სახ-

ით) მოაღწიეს ჩვენამდე, როგორც ცნობებმა მონების გაყიდვის ან კოლიზეუმში გასამართი სანახაობების შესახებ“.

ძველი ეგვიპტე გამორჩეულია მასებზე ზემოქმედების, ძალაუფლებით მანიპულირების, იმიჯმეიკინგის, ძალაუფლებისათვის საჯაროობის მინიჭების მეთოდებით. უძველესი ეგვიპტური ტაძრები, აკლდამები, პირამიდები, სტელები, ქანდაკებები ინფორმაციის მატარებლებს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თანამედროვე მეთოდების ისტორიული წანამძღვრები ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ იკითხება ძველი რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებში. ამ პერიოდის რომაელი პოლიტიკოსები იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ თავისუფალ მოქალაქეთა ფენისთვის, რომელთა კეთილგანწყობაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მათი პოლიტიკური კარიერა. აქედან გამომდინარე, ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ კომუნიკაციურ პროცესს და ამ პროცესში მოქალაქეების დარწმუნებას, მათი კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვებას.

მართალია, ტერმინს „საზოგადოებრივი აზრი” რომაელები არ იყენებდნენ, მაგრამ ცნობილი ფრაზის “ვოხ პოპული - ვოხ დეი” (“ხმა ღვთისა და ხმა ერისა”) მეორე ნაწილში (ვოხ-დეი) ისინი აშკარად საზოგადოებრივ აზრს გულისხმობდნენ. ღმერთსა და ერს შორის ტოლობის ნიშნის დასმა იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი ღირებულებითი ორიენტაცია ერთგვარ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ღვთაებრივი ქარიზმატულობა მინიჭებოდა ერის, ხალხის ან საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის მიერ არჩეულ ტრიბუნს, სენატორს, კონსულს და ა.შ.

ზემოთ აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, რომ საზოგადოებრივი აზრი არსებობდა ყველა ისტორიულ პერიოდში. ამ სოციალური მოვლენის მიმართ ცხოველ ინტერესს უძველესი დროიდან იჩენენ მეცნიერები, ფილოსოფოსები, მოაზროვნეები. მისი, როგორც სოციალური ფენომენის შესწავლის მცდელობა ანტიკური ხანიდან იწყება. მაშინ, როცა გაჩნდა სოციალური ერთობის განმსაზღვრელი ჩვევებისა და ნორმების გააზრების ინტერესი.

ამპ როცესების საწყისები სოფისტებთან უნდა ვეძებოთ. სოფისტებს უკვე ჰქონდათ წარმოდგენა ბუნებისა და ბუნებრივი კანონებისაგან განსხვავებულ სოციალურ კანონებზე, მათ ნორმატიულ ხასიათზე. ესმოდათ, რომ ასეთი კანონები ზნეობის დამკვიდრებას ემსახურება და აუცილებელია ყოველი საზოგადოებისათვის.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის აღზევებამ, მისი პროვიდენციალურობიდან (განგების რწმენა, რომელიც განაგებს და მართავს ადამიანებისა და მთელი ხალხების ბედს) გამომდინარე სასიკვდილო დარტყმა მიაყენა სოციოლოგიური აზრის პირველ მცდელობებს.

საზოგადოებრივი აზრის პროპაგანდისტული მეთოდებით ფორმირების თვალსაჩინო მაგალითია კათოლიკური ეკლესია. რელიგიური ფაქტორის გამოყენებით მანიპულირება შუასაუკუნეებში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს.

„საზოგადოებრივი აზრი“, როგორც კაცობრიობის სოციალური ცხოვრების ამსახველი უნიკალური ფენომენის აღმნიშვნელი საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი XVIII საუკუნის ბოლოდან გამოიყენება.

ნიშანდობლივია, რომ მარქსმა საზოგადოებრივი აზრი „ყალბცნობიერებად“ გამოაცხდა. ის უბრალოდ ფარავს ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესს. ამდენად, მარქსისტებისთვის საზოგადოებრივი აზრი არაფერს არ ნიშნავდა, მთავარი იყო ის, თუ რას ფიქრობდა პროლეტარიატი (რეალურად კი პარტიული ფუნქციონერები) ამა თუ იმ პრობლემის შესახებ და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს ხშირად პარტიული აგიტაციითა და პრობაგანდით ფარავდნენ. მოგვიანებითაც კი, სადღაც მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც გააქტიურდნენ სოციოლოგიის სპეციალისტები, (დაიწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, მათი ანალიზი და ა. შ.) მათი მცდელობა მიმართული იყო იქეთკენ, რომ გამოეკითხათ ადამიანები არა იმდენად რეალური სურათის დასადგენად, არამედ იმისთვის, რომ მოეხდინათ შედეგების იმგვარად „კორექტირება“, რომ „ზემოთ“ კეთილისმყოფელი სურათის წარდგენა შეძლებოდათ. თუნდაც ერთი მაგალითი: ქვეყანაში (იგულისხმება საბჭოთა კაშირი 80-იან წლებში) ძირითადი სასურსათო პროდუქტების შეძენა მხოლოდ ე.წ. საბარათო სისტემით იყო შესაძლებელი, თუმცა ტელევიზია და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბედნიერი საზოგადოების ილუზიას ქმნიდა. საბოლოოდ ცნობილია ის რაც ასეთ „ბედნიერებას“ მოჰყვა – საბჭოთა კავშირისა, და მთლიანად სოციალისტური სისტემის ჩამოშლა.

ლიბერალური მიდგომაც კრიტიკულად უდგება საზოგადოებრივი აზრის დომინირებას, როგორც ინდივიდის შესაძლო შეზღუდვასა და

„მორალური ძალადობის იარაღის ფორმას“, ანუ საზოგადოება არ არის გონიერების წყარო, არამედ არის პიროვნების თავისუფლების შემზღუდავი.

ამდენად, საზოგადოებრივი აზრის ლიბერალური ხედვა სრულიად გამორიცხავს მისთვის სრული მმართველობითი ლეგიტიმაციის მინიჭებას, არამედ მხოლოდ რეპრეზენტაციისა, რომელსაც ექნება არამმართველობითი, არამედ ძალაუფლების შემზღუდავი ფუნქცია.

პოლიტიკური საჯარო სივრცე, მასმედიის გავლენით იქნება ეს, თუ ყველა ფაქტორის ერთობლიობით, იცვლის თავის ბუნებას ერთმნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. სამოქალაქო საზოგადოებიდან მასობრივ სამომხმარებლო კულტურაზე გადასვლა უკავშირდება იდეებისა და იდეოლოგიების როლის ტრანსფორმაციას.

„ყალბი ცნობიერება,“ რომელიც ჩნდება საზოგადოებაში, ადარ არის, მეცხრამეტე საუკუნისგან განსხვავებით, იდეების შეკრული კომპლექსი, რომელიც ქმნის სამყაროს ლოგიკურ სურათს. ახლა ის უფრო წააგავს ქცევის ნორმების კომპლექსს, მიბაძვის პატერნს.

შესაბამისად, პარტიული აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ადგილს იკავებენ სპეციალისტები, რომლებიც „ყიდიან“ პოლიტიკას და პოლიტიკოსებს შინაარსის განგანურჩევლად. იწყება საზოგადოებით მანიპულირების ტექნოლოგიების განვითარება. მანიპულირებული საჯარო სივრცე მიმართულია, პირველ რიგში, არასაჯარო შეხედულებების ფორმირებაზე; მისთვის საჯაროობა არ არის პრიორიტეტი, არამედ საარჩევნო ქცევა. თუკი საჯაროობა, სიტყვის თავისუფლება და საზოგადოებრივი საჯარო აზრის ფორმირება თავის (შინაგან) მიზნად იაზრებდნენ სიმართლის წარმოჩენას, და რეალობის სწორ ასახვას (ამიტომაც იყო საჭირო რაციონალური მსჯელობა და ყველასათვის სიტყვის მიცემა), მანიპულირებული აზრის მიზანია ხმები – ამომრჩეველთა ხმები, რომლებიც ფარული კენჭისყრის შედეგად გროვდება.

დემოკრატიის პრინციპები მოქმედებს მაშინ, როცა განსხვავებულ საზოგადოებრივ აზრს დაუფარავად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა უკეთ გავიგოთ განსხვავება ამ ორ მოდელს შორის. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკითხვას მთელი საზოგადოების თვალსაზრისის გაგების მიზნით.

სიტუაცია, როდესაც ერთნი ორიენტირებულნი არიან თავიანთი აზრის გამოხატვაზე, სხვები კი მის დაფარვაზე, იწვევს სპირალის მსგავსი პროცესის ზრდას. შედეგად ხდება ერთი თვალსაზრისის დომინირება. კონცეფციის მნიშვნელოვანი შემადგენელია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ „დღეს“ გაბატონებულ თვალსაზრისს. პროცესის სხვა „მამოძრავებელ ძალას“ წარმოადგენს ინდივიდის გარემოცვა. თუკი ადამიანი არ გამოხატავს თავის აზრს, დიდი შანსია იმისა, რომ ასევე იქცევა მისი უახლოესი გარემოცვა. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის დომინირებას და „დუმილის სპირალის“ ზრდას.

საზოგადოებრივი აზრი ცალსახად არაა მიმართული სინამდვილის შეცვლაზე. საზოგადოების მიერ გამოთქმული პოზიციები და შეფასებები შეიძლება ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული იქნას (მთლიანად და ნაწილობრივ) ან საერთოდ არ გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგრამ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება გამოთქმულ აზრზე, დააფიქსიროს მის მიმართ თავისი დამოკიდებულება. პოლიტიკური ბრძოლის რეალობიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ თავად ხელისუფლებამ აიღოს თავის თავზე საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ფუნქცია. კერძოდ, გამოიყენოს მედია, წამოაყენონ თავიანთი „საზოგადოებრივი აზრის ლიდერები“; გაავრცელონ მასალები და მოვლენათა კომენტარები, რომლებიც გავლენას მოახდენს საზოგადოების განწყობის ფორმირებაზე; გამოთქვან საჯარო შეფასებები ამა თუ იმ ჯგუფების სახელით, რაზედაც შემდეგ უკვე ხელისუფლება მოახდენს რეაგირებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები ხაზგასმით გვჩვენებს იმ პრობლემებს, რაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკითხებში ვლინდება. ხელისუფლების ძალისხმევა სახელმწიფო მართვის სრულყოფის, გადაუწყვეტელი პრობლემების გადაჭრის მიმართულებით ხშირად საზოგადოებისთვის თვალსაჩინო არ არის. ლაპარაკია მოქმედი ხელისუფლების ნაკლზე ე.წ. „გაპიარების“ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ არც უამისობაა, თუმცა ყველაზე სერიოზული ნაკლი საზოგადოებასთან ურთიერთობების დაუხვეწავ ფორმებში უნდა ვეძებოთ. საჭიროა საზოგადოების ღია და პერმანენტული ინფორმირება მიმდინარე პროცესებზე, წარ-

მატებები იქნება ეს თუ ნაკლოვანებები. ხალხს უნდა სჯეროდეს ხვალინდელი უკეთესი დღის, უკეთესი მომავლისა და პერსპექტივისა, ეს მხოლოდ მიზანმიმართული საქმიანობით მიიღწევა. შესაბამისად მოქალაქეებიც გაითავისებენ არსებულ გამოწვევებს და მოახდენენ მათზე ადეკვატურ რეაგირებას. ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება და არა გაუგებარი წარმოშობის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მედიის საშუალებით ცდილობენ საზოგადოებაში ნეგატიური განწყობების შექმნას მყარი გარანტიაა იმისა, რომ ხელისუფლების ნებისმიერი აქტივობა სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს მოქალაქეებში, გაიზრდება მათი აქტივობაც და ჩართულობაც, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით ეს გაცილებით ადვილად მისაღწევია, ვიდრე ადრეულ პერიოდში იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თომას მ. მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა. იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
2. კოდუა ე. სოციოლოგიის ისტორიის შესავალი, 2001.
3. კატლიპი სკოტ, ბრუმი გლენ, სენტერი ალენ – საზოგადოებასთან ურთიერთობების შესავალი. 2011.
4. მუსხელიშვილიმ. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი თბილისი, 2006.
5. მაო ძედუნი, პარტიზანული ბრძოლა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.
6. საზოგადოების მექანისტური თეორიები 17-ე საუკუნეში. წვდომის რეჟიმი: www.socium.ge
7. უილკ ოქსიდენის ლ. კამერონი გლენტ.- საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა. 2011.
8. ქენეთ ჯანდა, ჯეფრიმ. ბერი, ჯერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. თბ., გამომცემლობა „ჯისიაი”,1995.

ACTIVITY OF CITIZENS - ONE OF THE IMPORTANT MEASUREMENTS OF A COUNTRY'S DEMOCRACY

GIORGI KOCHISHVILI
Doctoral Student of GTU
E-mail: r.kutateladze@gtu.ge

Summary

Activity of citizens is an important barometer for assessing the development of democratic processes in the country. Any decision of the government of the country should be dictated by the need for the people and society, and therefore the active participation of citizens in support and realization. The article discusses the ongoing processes in Georgia in terms of strengthening democratic achievements and increasing civil activity; shortcomings that are still noticed in this direction are critically evaluated. It is highlighted that the achievements that exist in recent times do not give an opportunity for relaxation and self-satisfaction. Permanent activity and attempts are needed to strengthen the achievements and overcome existing problems.